



# საქართველო

## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



### ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243  
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16  
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com  
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 1

29 იანვარი 2021 წელი

#### სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს. შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო რიცხოვნობის - 119 ერთეულის 5% შეადგენს 6 ერთეულს. იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით დამხმარე ფუნქციის შესრულებას ახორციელებს 11 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, მიზანშეწონილია მათზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მიღებულ იქნეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა.

#### „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6 პოზიციიდან 5 ერთეულზე მეტით გათვალისწინებულ 11 პოზიციაზე.
2. განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კახაბერ რუსია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი